ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №18

17 ნოემბერი 2022 წელი

12:00 საათი

ა/წ 17 ნოემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ირაკლი ხელაძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ლევან აბაშიძე;
5. ნათია მოდებაძე;
6. სოფიო ჯაფარიძე;
7. ლილე ლიპარტელიანი;
8. მამუკა გუგეშაშვილი;
9. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი ნათია ვერძაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**

საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის წარმოადგინა ნათია ვერძაძემ და კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ცვლილების შესახებ, რომელიც ეხება „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 09) განხორციელების წესს. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტით, წესის მე-5 მუხლს ემატება მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.დ“ და „გ.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დათქმიდან გამონაკლისს წარმოადგენს საყოველთაო წესით დაფინანსებული ისეთი გადაუდებელი შემთხვევები, რომლებზეც მიმწოდებელი მოდულში გადმოაგზავნის შემთხვევის შესახებ ინფორმაციას, მოსარგებლე პირის გაწერიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში. საკითხის წარმომდგენის ინფორმაციით აღნიშნული ცვლილება განპირობებულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის DRG სისტემაზე გადასვლით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს კომისიის წევრების სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კომისიამ დაადგინა

წარმოდგენილი პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა გაიოზ თალაკვაძემ, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანახმად ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით გამოყოფილია - 144 160 000 ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 27 160,6 ათასი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 3 169 700 ლარით მეტია. სოციალური პროგრამებისთვის კი განსაზღვრულია 117 000 100 ლარი; მათ შორის გრძელდება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, დაავადებათა სკრინინგის და ტრანსპლანტაციის დაფინანსება. სოციალური დაცვის პროგრამისთვის ჯამში გათვალისწინებულია 117 000,0 ათასი ლარი. გრძელდება შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება: კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შინმოვლის დანადაფინანსება, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში და სხვა; იზრდება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის დაფინანსება 1 514 600 ლარით და შეადგენს 7 383 000 ლარს. ეს კი ნიშნავს, რომ 2023 წლის იანვრიდან კიდევ 354 ბავშვს დაუფინანსდება თერაპიული კურსი და სულ ამ პროგრამით 1729 ბავშვი ისარგებლებს;

- მომავალი წლის ბიუჯეტით, ასევე იზრდება ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება -1 600 000 ათასი ლარით;

იზრდება: გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი - 55 100 ათასი ლარით; მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა 36 000 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება - 152 000 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი

ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება -660 000 ათასი ლარით. სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 6700 ლარით; სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობის პროგრამული ბიუჯეტი -324 000 ლარით; სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება 12 000-ლარით; თბილისის მუნიციპალური მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა/ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფთა და სხვა პრობლემების მქონე პირთა მომსახურება -268 100 ლარით; დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია იზრდება - 1 294 300 ათასი ლარით; „სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში" -100 000 ლარით.

მ/წ 17 ნოემბრის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის (№12-032231961-03) შესწავლისა და მსჯელობის შედეგად, კომისიამ გადაწყვიტა, პროექტის მიმართ წარდგენილ იქნეს შემდეგი სახის რეკომენდაციები:

ჯანმრთელობის დაცვის (კოდი: 06 01) ქვეპროგრამებს დაემატოს ენდოპროთეზირების დაფინანსებისა და რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამები.

კომისიის წევრმა სოფიო ჯაფარიძემ აღნიშნა რომ მას ხშირად მიმართავენ კოქსართროზით დაავადებული პირები და ითხოვენ მკურნალობის დაფინანსებას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ განმარტა რომ, ქ. თბილისის მერის კახა კალაძის წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად და თბილისის მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე უახლოეს მომავალში განიხილება კოქსართროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა. ამჟამად მიმდინარეობს ქვეპროგრამის ფორმირება.

აქვე, კომისიის წევრი ვახტანგ სურგულაძე დაინტერესდა უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართის შეძენის პროგრამასთან დაკავშირებით ხომ არ იგეგმება რაიმე ცვლილება.

კომისიიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ ზემოთხსენებულ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 4 წლის განმავლობაში ჯამში 423 ოჯახის დაკმაყოფილება

მოხდება, წელს 75 ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი, მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი უსახლკარო ოჯახი დაკმაყოფილდება საცხოვრებლით.

კომისიის წევრმა ვახტანგ სურგულაძემ დადებითად შეაფასა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის ბიუჯეტის და შესაბამისად ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა და ასევე სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების პროგრამული ბიუჯეტის მატებაც.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

<u>კომისიამ დაადგინა</u>

წარმოდგენილი პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე და ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის რეკომენდაციით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (საკრებულოს N12-032231961-03. 15.11.2022 წ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე